ორი ქვეყნის სადავო არტეფაქტები

მოამზადა თათია ბარბაქაძემ

XVIII საუკუნის ბოლოს ოსმალეთის იმპერია ბალკანეთის ნახევარკუნძულისთვის ავსტრიასა და რუსეთს ებრძოდა. ნაპოლეონის ეგვიპტეში ლაშქრობის შემდეგ სულთან სელიმ III იძულებული გახდა რუსეთთან და დიდ ბრიტანეთთან დაზავებულიყო. ეგვიპტე ოსმალეთის იმპერიის ნაწილად განიხილებოდა. შესაბამისად, ნაპოლეონის ეგვიპტურმა ექსპედიციამ ოტომანთა იმპერიის ძლევამოსილებას საფრთხე შეუქმნა. ამავე დროს, საბერძნეთი ასევე ოტომანთა მიერ იყო დაპყრობილი. ამ პერიოდში ოსმალეთის იმპერიაში დიდი ბრიტანეთის ელჩად ლორდი ელგინი (თომას ბრუსი) მსახურობდა. ლორდი ელგინი დაინტერესებული იყო ანტიკური ხელოვნებით. ამასთანავე, შიშობდა, რომ საომარი ვითარებიდან გამომდინარე შეიძლებოდა ძველი ბერძნული ცივილიზაციის მნიშვნელოვანი არტეფაქტები განადგურებულიყო. ელჩმა პართენონის სკულპტურებისა და არქიტექტურული დეტალების გადარჩენილი ნაწილების აზომვისა და ჩახატვის ნებართვა ოსმალებისგან მიიღო . მან, ასევე, მიიღო ნებართვა პართენონიდან წარწერებიანი ქვის ნატეხებისა და სკულპტურების მოხსნის შესახებ . შემდეგ მან შეარჩია პართენონის კონკრეტული რელიეფები და ინგლისში გემით გაამგზავრა. შერჩეულ ნამუშევრებს შორის აღმოჩნდა კენტავრებისა და ლაპითების ბრძოლის ამსახველი მეტოპები და ქალღმერთ ათენას მიმართ მიძღვნილი დღესასწაულის ფრიზის ნაწილები.

1806 წელს ლორდი ელგინი დიდ ბრიტანეთში დაბრუნდა. დაბრუნებისთანავე დაიწყო მისი კრიტიკა და საუბარი იმაზე, რომ ლორდმა ძველი ბერძნული ხელოვნების ნიმუშები უბრალოდ მოიპარა და მიითვისა სხვა ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობა. გარკვეული პერიოდის შემდეგ ლორდმა გამოაქვეყნა დოკუმენტი, რომელიც მის მიმართ წაყენებულ ყველა ბრალდებას უარყოფდა, მაგრამ ამ დოკუმენტს ჩვენამდე არ მოუღწევია. თუმცა 1816 წელს პარლამენტის მიერ შერჩეულმა კომიტეტმა ლორდი ელგინის საქმიანობა გამოიძია და არტეფაქტებზე ლორდის საკუთრების უფლება კანონიერად ცნო. პარლამენტის კენჭისყრის შემდეგ კი, ბრიტანეთის მუზეუმს გამოეყო თანხა კოლექციის შესაძენად . არტეფაქტებზე მითქმა-მოთქმა, საბოლოოდ, მაშინ დასრულდა, როდესაც 1817 წელს პართენონის რელიეფები დიდი ბრიტანეთის მუზეუმის საკუთრება გახდა.

არტეფაქტებზე დისკუსია 1980-იანი წლებიდან განახლდა. მაშინ როდესაც საბერძნეთის კულტურის მინისტრმა, მელინა მარკურიმ, პართენონის რელიეფების უკან დაბრუნება მოითხოვა. წლების განმავლობაში არტეფაქტების დაბრუნების შესახებ ბრიტანეთის მუზეუმის ერთ-ერთი არგუმენტი ის იყო, რომ საბერძნეთს არ ჰქონდა თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი მუზეუმი, სადაც არტეფაქტების სრულფასოვანი დაცვა და ექსპონირება შესაძლებელი იქნებოდა. თუმცა 2009 წელს ათენში გახსნილმა აკროპოლისის მუზეუმმა ძველი ბერძნული ხელოვნების ნიმუშების კონსერვაციისა და ექსპონირების საუკეთესო პრაქტიკა აჩვენა. არტეფაქტების დაბრუნების შემთხვევაში, მუზეუმი მზადაა, საგამოფენო დარბაზებში შესაბამისი ექსპოზიცია მოაწყოს. თუმცა ბრიტანეთის მუზეუმი რელიეფების დაბრუნებაზე უარს აცხადებს და პართენონის სკულპტურებს საზღვრებს მიღმა განიხილავს. არტეფაქტები ბრიტანეთის მუზეუმში ბერძნულ ცივილიზაციას მსოფლიო ისტორიის კონტექსტში წარმოადგენს, მაშინ როდესაც აკროპოლისის მუზეუმის კოლექცია ეროვნულ კონტექსტში განიხილება . არტეფაქტებზე დისკუსია დღემდე არ შემწყდარა, რადგან ე.წ. ელგინის მარმარილოები ბრიტანეთის ეროვნული მუზეუმის კოლექციისა და ექსპოზიციის

უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს, ხოლო საბერძნეთისთვის - კულტურული იდენტობის ნაწილია.

ლექსიკონი :

არტეფაქტი - მატერიალური კულტურის ნიმუში. რელიეფი - მოცულობითი გამოსახულება სიბრტყეზე.

ფრიზი - რელიეფური გამოსახულება ან ორნამენტული ზოლი, რომელიც ორდერებში ანტაბლემენტის შუა ჰორიზონტალურ ნაწილს წარმოადგენს.

მეტოპი - დორიული ორდერის ფრიზის არე, სადაც რელიეფური გამოსახულებით შემკულ ფილას ათავსებენ.

ტრიგლიფი - ვერტიკალურად დაღარული ფილა, რომელიც მეტოპთან მონაცვლეობით დორიულ ფრიზს შეადგენს.

ექსპონატი - გამოფენაზე საჩვენებლად გამოფენილი საგანი. კოლექცია - ხელოვნების ნიმუშების შეგროვება, ერთად თავმოყრა.

კონსერვაცია - სპეციალური პირობების შექმნით ხელოვნების ნიმუშების დაზიანებისგან დაცვა.

რესტავრაცია - დაზიანებული ხელოვნების ნიმუშის აღდგენა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ოუენ ჰოპკინსი, “მუზეუმების ისტორია დასაბამიდან დღემდე”, გამომცემლობა “პალიტრა L”, 2023 წ.
2. რისმაგგორდეზიანი, “ბერძნული ცივილიზაცია, კლასიკური ეპოქა”,ტომი II, “სულაკაურის გამომცემლობა”, 2019 წ.
3. ე.ჰ. გომბრიხი, “ხელოვნების ამბავი” , “დიადი გამოღვიძება”, გამომცემლობა “ლოგოს პრესი”, 2012 წ.

https://www.britannica.com/art/Greek-Revival

https://www.parthenonuk.com/history-of-the-marbles

ბიბლიოვიკი - NPLG Wiki Dictionaries

http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php

https://melinamercourifoundation.com/en/unesco-in-mexico-july-29-1982/

https://www.britishmuseum.org/about-us/british-museum-story/contested-objects- collection/parthenon-sculptur es

სამუშაო ფურცლები

სადისკუსიო თემა ყველა ჯგუფისთვის: საბერძნეთის რესპუბლიკა პართენონის რელიეფების დაბრუნებას დიდი ბრიტანეთისგან ითხოვს. დაბრუნების შემდეგ კი ნამუშევრების კონსერვაციასა და ექსპონირებას აკროპოლისის მუზეუმში გეგმავს. თუმცა დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო და ბრიტანეთის მუზეუმი არტეფაქტების დაბრუნებაზე უკვე წლებია უარს აცხადებენ.

დანართი 1

დავალება პირველი ჯგუფისთვის: საბერძნეთის რესპუბლიკის პოზიციის არგუმენტირებულად დასაბუთება.

საბერძნეთის რესპუბლიკის პოზიცია: საბერძნეთის რესპუბლიკა არტეფაქტების უკან დაბრუნებას ითხოვს.

რეკომენდაცია: ტექსტთან ერთად, მოცემულ კითხვებზე პასუხები დისკუსიის დროს თქვენი პოზიციის არგუმენტებით გამყარებაში დაგეხმარებათ.

დამხმარე კითხვები:

1. არტეფაქტების დაბრუნების მოთხოვნისას, რა არის საბერძნეთის რესპუბლიკის მთავარი არგუმენტი?
2. მოიყვანეთ არგუმენტი, თუ რატომ არის საბერძნეთის რესპუბლიკის მოთხოვნა სამართლიანი?
3. ბერძნულ მხარეს ეჭვი შეაქვს ლორდი ელგინის კანონიერ ქმედებებში. დიდი ბრიტანეთის მხრიდან რა ფაქტის წარმოდგენა იქნებოდა საბერძნეთისთვის დავის შეწყვეტის საფუძველი?
4. მოცემულ შემთხვევაზე დაყრდნობით, იმსჯელეთ, რა განაპირობებს მუზეუმისა და სახელმწიფოს ინტერესების თანხვედრას?

სადისკუსიო თემა ყველა ჯგუფისთვის: საბერძნეთის რესპუბლიკა პართენონის რელიეფების დაბრუნებას ითხოვს. დაბრუნების შემდეგ კი ნამუშევრების კონსერვაციასა და ექსპონირებას აკროპოლისის მუზეუმში გეგმავს. თუმცა, დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო და ბრიტანეთის მუზეუმი არტეფაქტების დაბრუნებაზე წლებია უარს აცხადებენ.

დანართი 2

დავალება მეორე ჯგუფისთვის: დიდი ბრიტანეთის პოზიციის არგუმენტირებულად დასაბუთება.

დიდი ბრიტანეთის სახელმწიფოს პოზიცია: დიდი ბრიტანეთი უარს აცხადებს არტეფაქტების დაბრუნებაზე.

რეკომენდაცია: ტექსტთან ერთად მოცემულ კითხვებზე პასუხები, დისკუსიის დროს, თქვენი პოზიციის არგუმენტებით გამყარებაში დაგეხმარებათ.

დამხმარე კითხვები:

1. მოცემულ შემთხვევაში, რა იყო მთავარი ფაქტორი, რამაც განაპირობა დიდი ბრიტანეთის მიერ საბერძნეთის კულტურულ მემკვიდრეობაზე უფლების მოპოვება?
2. არტეფაქტების მიმართ სახელმწიფოს დამოკიდებულებაზე რა წარმოდგენას გიქმნით ლორდი ელგინის კრიტიკა და დიდი ბრიტანეთის პარლამენტის საგამოძიებო კომისიის შექმნა?
3. ორი საუკუნის გასვლის შემდეგ, რამდენად მიზანშეწონილად მიგაჩნიათ საბერძნეთის მხრიდან არტეფაქტების დაბრუნების მოთხოვნა?
4. მოცემულ შემთხვევაზე დაყრდნობით, იმსჯელეთ, რა განაპირობებს მუზეუმისა და სახელმწიფოს ინტერესების თანხვედრას?

სადისკუსიო თემა ყველა ჯგუფისთვის: საბერძნეთის რესპუბლიკა პართენონის რელიეფების დაბრუნებას ითხოვს. დაბრუნების შემდეგ კი ნამუშევრების კონსერვაციასა და ექსპონირებას აკროპოლისის მუზეუმში გეგმავს. თუმცა, დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო და ბრიტანეთის მუზეუმი არტეფაქტების დაბრუნებაზე წლებია უარს აცხადებენ.

დანართი 3

დავალება მესამე ჯგუფისთვის: აკროპოლისის მუზეუმის პოზიციის არგუმენტირებულად დასაბუთება.

აკროპოლისის მუზეუმის პოზიცია: მუზეუმი იზიარებს სახელმწიფოს პოზიციას და მოითხოვს არტეფაქტების დაბრუნებას.

რეკომენდაცია: ტექსტთან ერთად მოცემულ კითხვებზე პასუხები, დისკუსიის დროს, თქვენი პოზიციის არგუმენტებით გამყარებაში დაგეხმარებათ.

დამხმარე კითხვები:

1. თქვენი აზრით, როგორია აკროპოლისის მუზეუმის როლი მსოფლიო სამუზეუმო სივრცეში?
2. პრეზენტაციაში მოცემულ მასალაზე დაყრდნობით, როგორ არის წარმოდგენილი ძველი ბერძნული ხელოვნების ნიმუშები აკროპოლისის მუზეუმში?
3. არქიტექტურის თვალსაზრისით, რა უპირატესობას ფლობს ათენის აკროპოლისის მუზეუმი ბრიტანეთის მუზეუმთან შედარებით?
4. მოცემულ შემთხვევაზე დაყრდნობით, იმსჯელეთ, რა განაპირობებს მუზეუმისა და სახელმწიფოს ინტერესების თანხვედრას

სადისკუსიო თემა ყველა ჯგუფისთვის: საბერძნეთის რესპუბლიკა პართენონის რელიეფების დაბრუნებას ითხოვს. დაბრუნების შემდეგ კი ნამუშევრების კონსერვაციასა და ექსპონირებას აკროპოლისის მუზეუმში გეგმავს. თუმცა, დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო და ბრიტანეთის მუზეუმი არტეფაქტების დაბრუნებაზე უკვე წლებია უარს აცხადებენ.

დანართი 4

დავალება მეოთხე ჯგუფისთვის: ბრიტანეთის მუზეუმის პოზიციის არგუმენტირებულად დასაბუთება.
ბრიტანეთის მუზეუმის პოზიცია: მუზეუმი იზიარებს სახელმწიფოს პოზიციას და უარს აცხადებს არტეფაქტების დაბრუნებაზე.

რეკომენდაცია: ტექსტთან ერთად მოცემულ კითხვებზე პასუხები დისკუსიის დროს თქვენი პოზიციის არგუმენტებით გამყარებაში დაგეხმარებათ.

დამხმარე კითხვები:

1. თქვენი აზრით, როგორია ბრიტანეთის მუზეუმის როლი მსოფლიო სამუზეუმო სივრცეში?
2. პრეზენტაციაში მოცემულ მასალაზე დაყრდნობით, როგორ არის წარმოდგენილი პართენონის რელიეფები ბრიტანეთის მუზეუმში?
3. პართენონის რელიეფების მომიჯნავე დარბაზებში აღმოსავლური ხელოვნების ნიმუშებია წარმოდგენილი. მაყურებელზე რა შთაბეჭდილებას ახდენს განსხვავებული კულტურების ერთ სამუზეუმო სივრცეში აღქმა?
4. მოცემულ შემთხვევაზე დაყრდნობით, იმსჯელეთ, რა განაპირობებს მუზეუმისა და სახელმწიფოს ინტერესების თანხვედრას?